ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

სამშაბათი,
26 აპრილი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დაბა-ტიბით 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან ავტორის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 340 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 340

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილად ძვირფასი მიჩვენის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

გრძელდება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

წელიწადი მეორე „სამშობლო"-ზე წელიწადი მეორე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ. სოფ. სამკითხ. დაეთმობათ 6 მ., მასწავლებლებს 7 მ. წელიწ.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო"

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ანატოლი, ვალენტინა გაჩეჩილაძისა, ლეონიდა და ქსენია კოსტავები, სიძე გიორგი ზარასტის ძე გაჩეჩილაძე და ახლობელი ნათესავები უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ამა თვის 24 აპრილს საღამოთი ივანოვის ქუჩაზე, საკუთარ სახლში გარდაიცვალა

ალექსანდრე ივანეს ძე კოსტავა.

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 7 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება
149 1—3

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 25 აპრილიდან ახალი პროგრამა. გომონის ქრონიკა,

გულის გამარჯვება.

თანამედროვე დრამა 2 ნაწ. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

ბედნიერება სულელებს.

მხიარული კომედია 2 ნაწ.

ელექტრო „ამპირი" თეატრი

ორშაბათიდან, 25 აპრილიდან ახალი პროგრამა. გომონის ქრონიკა

სიკვდილის შიში.

თანამედროვე დრამა 1 ნაწ.

გულის ამორჩევა. ღმერთების თვითნება.

კომედია 3 ნაწ. ცნობილ მსახიობ ვ. გარისონის მონაწილეობით.

ექიმი ი. ჩარიძოვი ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ნაშუადღევს 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის № 46, ტელეფონი № 87.
14 თ.

ბეითალი ა. ვ ნეიროვი ლებულობს მოსარჩენათ ავადმყოფ ცხოველებს დილის 9—10 საათამდი და საღამოს 3—6 საათ. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა, სახლი ალახვერდიევისა, სამხედრო გოსპიტლის პირდაპირ. თ.

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

ამზადებს

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის.

პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძისა. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი მულინი, ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევს 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.
10

ექიმი ა. მ. ახათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2.
11 თ.

იყიდება ბალახვანის შესახვევში, ალექსანდროვის ხეტყის საწყობის გვერდით სამოსახლო ადგილები.
მიმართეთ ადვოკატის ქუჩაზე, აკოფოვის სახლში №3
113 1 — თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე ბოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
2 ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი თ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

22 აპრილი.

დასავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. ოფიციალი. დვინის ასპარეზზედ სროლაა. კრევოს სამხრეთით მომხდარი საარტილერიო ბრძოლა 21 აპრილს ღამით მიყუჩდა.

ოგინის არხის მხარეს მტერმა საარტილერიო ცეცხლი გააჩინა. სადგურ ოლიკის სამხრეთ აღმოსავლეთით დაჭერილი ადგილები გავამაგრეთ.

ტარნოპოლ ეზესნის რკინის გზაზე მტრის მედგარ იერიშს, არავითარი შედეგი არა ჰქონია.

კავკასიის ასპარეზი.

ბაიბურთის მიმართულებით, ოსმალნი შეეცადენ იერიშით წამოსულიყვნენ, მაგრამ ამაოდ.

ერზინჯანის მიმართულებით დავიჭირეთ მტრის თხრილები და მტერიც საშინლად დავაზიანეთ. ბითლისის მიმართულებით მიტანილი ყველა იერიშები მოვიგერიეთ.

23 აპრილი.

დასავლეთის ასპარეზი:

მდინარე დვინაზე იკსკიულის სიმაგრეებზე და ფრიდრიხშტადტის რაიონში მტერი არტილერიას ამოქმედებდა. მტრის ჰაეროპლანები ბევრ ადგილას ყუმბარებს ჰყრიდენ იაკობშტადტისა და დვინის რაიონებში ჩვენ მტერს მარჯვედ დავუშინეთ. დუმსკის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენ მტერს ერთი თხრილი წავართვით. კორშინის სამხრეთ-დასავლეთით საღამოთი მტერი იერიშით წამოვიდა, დერდუბროვკაზე. ამ იერიშისათვის გერმანელები ორის საათით ემზადებოდენ. მოიერიშე მტერს ჩვენი ჯარი კონტრიერიშით შეხვდა, გერმანელები გაიქცენ და ბრძოლის ველზე ბევრი დახოცილ დაჭრილი და სამხედრო იარაღები მიატოვეს. ჩარტორიისკის სამხრეთით ჩვენმა მზვერავებმა მტრის სადარაჯოზე იერიში მიიტანა, და ტყვეები წამოიყვანა სადგ. ონიკის ჩრდილოეთით ჩვენმა მზვერავებმა აიძულა მტერი, რომ მათი სადარაჯოები დაეტოვებიათ.

გურავიცის რაიონში ჩვენმა თვითმფრინავებმა ბრძოლა გაუმართეს მტრის თვითმფრინავებს. ორი საათის ბრძოლის შემდეგ, მტრის ერთი თვითმფრინავი იძულებული შეიქნა ჩამოშვებულიყო მტრისვე ბანაკში, მხოლოდ მეორე მიიმალა.

კავკასიის ასპარეზი:

ერზინჯანის მიმართულებით, მოიერიშე მტერი, რომელსაც ზურგს არტილერია უმაგრებდა, ჩვენ უკანვე განვდევნეთ. ბაღდადის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა შტიკების დახმარებით აიღო სოფელი მალკერიდი და ამოხოცა ამ სოფლის დამცველი მეციხოვნენი.

პეტროგრადი. 24 აპრილი. კოკენკუზენის რაიონში ფრიდრიხშტადტთან მტრის არტილერიამ ჩვენს მატარებელს (რკ. გზ.) ძლიერ დაუშინა.

გალიცია. სტრიპის ქვემო ნაწილში ჩვენ რამდენიმეთ წინ წავიწიეთ.

კავკასიის ასპარეზი.

ზღვის რაიონში ოსმალოთა წინ სვლა ადვილად შევაჩერეთ. ბაღდადის მიმართულებით ჩვენ დავიკავეთ სორმაგი აქედან მტერი საჩქაროდ გაიქცა დასტოვა ბრძოლის ველზე მიატოვა მთელი ეტლის შემადგენლობაა და ტყვეები. უკანასკნელ ცნობით ტრაპიზონის ნადავლი ყოფილა 1000 მეტი ვინტოვკა 58 მტენავი ყუთი და სხვა სამხედრო მასალები.

დანარჩენი დეპეშა იხილეთ მე 4-ე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რუსეთის ფრონტზე.

სამხედრო ჟურნალი „რუსკი ინვალიდი" სწერს: რუსეთის ჰაეროპლანების მოქმედება თავდასხმის გაძლიერება სადგურ „ელოვკასთან" იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ აქ გერმანელებმა დიდძალი სამხედრო მასალა მოზიდეს: ეტყობათ აქ შეტევისათვის ემზადებიან. თავის მხრით გერმანელებმა ჩრდილოეთის ფრონტზე მომქმედ „ცეპელინების" რიცხვი გაამრავლეს; მათ ახლა სწრაფათ მფრინავი ახალი სისტემის ჰაეროპლანიც შემოიღეს. ეს ახალი ჰაეროპლანი შავი ფერისაა და საათში 170 ვერსს გადის; ამასთანავე, მას მოქმედება ცუდ ამინდშიაც კარგად შეუძლია. აშკარაა, რომ გერმანელები რიგის რაიონში გადამწყვეტ ბრძოლისთვის ემზადებიან.

რამ შეუწყო ხელი ირლანდიის აჯანყების დამარცხებას

„რუსკია ვედომოსტის" კორესპონდენტის გადმოცემით ირლანდიელთა აჯანყების პირველ დღეებში ქ. დუბლინში საშინელი აფეთქება მოხდა: აფეთქდა სამხედრო მასალების მთავარი საწყობი სულ ერთიანათ გაქრო ამ მარცხმა ორივე მხრით 200 კაცამდე იმსხვერპლა. გაზეთ „რუსკოე სლოვოს" გადმოცემით პირსმა, რომელიც თავს ირლანდიის დროებითი მთავრობის პრეზიდენტს უწოდებდა, საბოლოვოთ იარაღის აყრაზე მოაწერა ხელი, რამაც აჯანყებას ერთბაშად ბოლო მოუღო

მდგომარეობა საფრანგეთ ბელგიის ფრონტზე

„რუსკი ინვალიდის" მიმომხილველი სწერს: 13-12 აპრილამდე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ გერმანელებმა განაგრძეს რა ვერდენთან უშედეგო იერიშები, იმავე დროს დიდი ენერგია და აქტივობა გამოიჩინეს ბელგიის ფრონტზე ინგლისის ჯარის წინააღმდეგ, განსაკუთრებით იპრის სამხრეთით, გიულიუხის და ლოოსის რაიონებში, აგრეთვე არასის ჩრდილოეთითაც და სამხრეთითაც. როგორც სჩანს გერმანელებმა ვერდენთან ბრძოლის ხაზის გარღვევის იმედი დაჰკარგეს, ამიტომ ახლა ინგლისის ჯარის ფრონტის სიმაგრის გამოცდას შეუდგენ.

ახალი სისტემის ყუმბარა.

„რუსკოე სლოვოს" გადმოცემით ავსტრიელებმა გამოიგონეს ახალი სისტემის ყუმბარა რომელიც შესდგება: პირველი „გრანატა", მეორე შრაპნელი. სროლის დროს შრაპნელი აღნიშნულ მანძილზე შორდება გრანატს და ჰაერში სქდება, „გრანატი" კი მანამდე მიდის, ვიდრე მაგარ სხეულს არ მოხვდება, ან არ დავარდება და არ გასქდება. ავსტრიელებს ცეცხლმფრქვეველი მანქანებიც გაუუმჯობესებიათ წინად ასეთი მანქანა ცეცხლის ალს მხოლოდ ათ საჟენზე ისროდა, ახლა 60-80 საჟენამდეც ისვრის.

გერმანიის წარმომადგენელთა პატივსაცემლად.

სტამბოლში ბანკეტი (მეჯლისი) გამართეს გერმანიის პარლამენტიორების პატივსაცემლად. ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ოსმალეთმა ნამდვილი დამოუკიდებლობა გერმანიის შეოხებით მოიპოვაო.

გერმანელების მზადება რუსეთის წინააღმდეგ.

„რუსკი ინვალიდი" გერმანელების მზადებას რუსეთის წინააღმდეგ შემდეგ ნაირათ აგვიწერს: უკანასკნელი ცნობები გერმანიის მზადების შესახებ იმას მოწმობს, რომ ისინი ახლა ეპირებიან იმ უმოქმედებას თავი დააღწიონ, რუსეთის ფრონტზე რაშიაც მთელი ზამთარი გაატარეს. გერმანელების მთელი ყურადღება ახლა რუსეთის ჩრდილოეთის ფრონტზეა მიპყრობილი, სადაც ისინი გამარჯვებას იმედოვნებენ და ამით ფიქრობენ ბრძოლა საბოლოვოთ მოიგონ. გერმანიის ფლოტი ამ მიზნით წინადაც გამალებით ემზადებოდა და ახლაც ემზადება, რომ რიგის ყურეში შეჭრას; ამ განზრახვით ფლოტის თვალსაჩინო ნაწილი უკვე ლიბავის ნავთსადგურში გადავიდა ეს რომ ნამდვილია იქედანაც სჩანს, რომ ამას წინად იტყობინებოდენ გერმანიის სანაპიროებზე ბალტიის ზღვის ყველა ნავსადგურები ორი კვირით დაკეტილიაო. ამასთან ჰოლანდიიდანაც იუწყებიან, რომ იქ გერმანიიდან ორი კვირაა, რაც ფოსტა არ მოსულა.

სირცხვილია!

ქუთაისში ერთი ჯგუფი ცდილობს საზოგადოებაში ბაასის და გაზეთის (იხ. „ხ. მეგ." № 43) საშუალებით ი. ეკალაძეს ისეთი ბრალი დასდვას, რომლის გამოთქმაც კი უხერხულია.

ამ ბრალდების პირველმა ავტორებმა უეჭველად იციან, რომ მათი სიტყვები უტყუარი ცილის წამებაა, მაგრამ ამბობენ მხოლოდ ერთის მიზნით, რათა სახელი გაუტეხონ თავის მოპირდაპირეს და მით აჩვენონ როგორც გაზეთს, ისე იმ ჯგუფს, რომელშიც ის ეკალაძე მუშაობს.

ჯერ ერთი, ს.-დემ. წოდება დღეს არავისთვის სახიფათო არ არის,

მსოფლიო ომი.

(დღიური).

მდგომარეობა არ შეცვლილა: გერმანიის მთავარი ასპარეზი ჯერ ისევ ევროპაა. რუსეთის ფრონტზე დაწყებული შეტევა თითქმის ერთ წერტილზე შეჩერებული: ალბათ, ისევ ვერდენის ოპერაციის დასრულებას ელიან. ვერდენთან ბრძოლა გერმანელებმა 21 აპრილიდან ისევ გააჩაღეს: სჩანს, ვერდენზე ხელის აღება ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტიათ, თუმცა ამასაც უნდა მოველოდეთ.

კავკასიისა და ოსმალეთის ასპარეზზე თუმცა ოსმალნი ენერგიულათ შეებრძოლნენ რუსეთის ჯარებს, მაგრამ დღემდე ვერას გახდნენ: შავის ზღვის პირათ ტრაპიზონის რაიონში ოსმალებისგან დაწყებული შეტევა რუსეთის ჯარმა „ადვილათ" მოიგერია, ხოლო ერზინჯანის მხრიდან მოტანილი იერიში უკუაგდო; ბაღდადის მიმართულებით, როგორც შტაბის დეპეშა გვაუწყებს, რუსეთის ჯარმა ოსმალთ უკან დაახევია კიდეც. ასე რომ რუსეთის ჯარი ბაღდადს დაემუქრა. ეტყობა, მესოპოტამიაში განთავისუფლებული ჯარები ბითლისის და დიაბექირის რაიონში მომქმედ ოსმალეთის ჯარს კიდევ ვერ შეერთებია. მოსალოდნელი იყო, რომ იქ განთავისუფლებული ჯარები უფრო სპარსეთის რაიონში მომქმედ ბარათოვის ექსპედიციის წინააღმდეგ არჩევდნენ წასვლას, ვინაიდან ეს ექსპედიცია უფრო საშიში იყო ბაღდადისათვის, (სიახლოვის გამო), ვიდრე ბითლისისა, ბარათოვის ექსპედიციაზე კი კარგა ხანია შტაბს არაფერი ცნობა არ მოუცია; ძნელი სათქმელია, თუ რას ნიშნავს ეს

რუსეთისა და ავსტრია-გერმანიის ფრონტზე ჯერ კიდევ საყურადღებო ნაბიჯი არც ერთ მხარეს არ გადაუდგამს. აღსანიშნავია მხოლოდ გერმანელების იხრით ის, რომ ძველ საბრძოლველ რაიონებს ყოველდღე ახალ-ახალს უმატებენ; მაგალითად გუშინ საღამოს გერმანელებმა კროშინის ახლო სოფელ დუბროვკაზე იერიში მიიტანეს, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. რუსეთის ჯარმა სამაგიეროთ გალიციაში ქვემო ტრიპას რაიონში, იაზლოვეცის ჩრდილოეთით რამდენიმეთ წინ წაიწია.

საფრანგეთ-ბელგიისა და გერმანიის ფრონტზე გერმანელები უმთავრესად ისევ იბრძოდენ, ვერდენთან, განსაკუთრებით მდ მაასის დასავლეთ №304 სიმაღლის და სიმაგრეების ასაღებათ. როგორც დეპეშა გვაუწყებს 304 სიმაღლის ჩრდილოეთი ნაწილი ხელთ იგდეს და მთელი თავისი ძალღონე კიმიერ – მარტობის ხაზს მიმართეს. ამავე დროს ისინი არტილერიას ვერვის რაიონშიაც ამოქმედებდენ. ამ ბოლო დროს ვერდენთან გერმანელები იერიშებს ერიდებიან და ქვეითა ჯარს იშვიათათ ამოქმედებენ. 304 სიმაღლის ჩრდილო ნაწილი მათ მხოლოთ მძიმე ზარბაზნების საშუალებით დაიპყრეს.

ინგლისში. ირლანდიის აჯანყება მარცხით დასრულდა. ჯერ კიდევ არაა გამორკვეული, თუ რამდენი მსხვერპლი შეიწირა ამ აჯანყებამ, რომელიც სულ რაღაც ათი დღის განმავლობაში სწარმოებდა. აღსანიშნავია ინგლისის სამხედრო მთავრობის შედარებით ჰუმანიური ხასიათი: სამხედრო საველე სასამართლომ ჯერ-ჯერობით სულ 36 მეთაური გაასამართლა. ამათგან მხოლოთ ერთს მიუსაჯა სიკვდილი, დანარჩენს კი ციხე და კატორღა; აჯანყებულთა სამს მეთაურს მხოლოთ სამი წლის კატორღა აქვს მისჯილი.

სხვა ფრონტზე და ზღვაზე ჯერ ისევ სიწყნარეა.

ვინაიდგან რომელი უწყებაა, რომ გაზეთში ნახმარ პიროვნების ჯგუფურ სახელწოდებას საბუთად ხმარობდეს.

თუნდაც ვიფიქროთ ერთის წუთით, რომ სახიფათოა ვისიმე ფედერალისტად წოდება განა, ეს უფლებას გვაძლევს განგაში ავტეხოთ და საზიზღარი დასკვნა გამოვიყვანოთ?.. უფრო სამართლიანი არ იქნება ვიფიქროთ, რომ სხვის წერილში რედაქტორს გაეპარა რომელიმე შეუფერებელი სიტყვა, მით უმეტეს, რომ ის პიროვნება, რომელსაც ფედერალისტს უძახის ბ. —კი, ძლიერ ნაკლებათ არის სოც.-ფედერალისტი (არა ერთხელ გვითქვამს, რომ მათი რიცხვი მეტათ მცირეა!).

აღსანიშნავია, რომ „ჩვ. მეგ." ჯგუფს ხშირათ უხმარია აღნიშნული ბრალდება მოწინააღმდეგეთა შესამუსრავათ და არც მაინც და მაინც აღშფოთდება ეს ჯგუფი, როცა რომელიმე მათგანს ასეთს საძაგელს რასმე დასწამებენ (სახელებს არ ჩამოვწერთ, ვინაიდან, რაც უნდა მართალი იყვნენ და გულმაგარი, მაინც მძიმეა ასეთი ბრალდების ხელმეორეთ გაგონება).

არც ერთ ბრალდებულს ამ საზიზღარ მოქმედებაში არავითარი ზიანი არ მოუტანია, რაიც ამტკიცებს, რომ თვით ბრალდებას საბუთი არ ჰქონდა, ხოლო არა ერთი ბრალდებული დატანჯეს, შეაძრწუნეს და გამოასალმეს წუთისოფელს, და მათ შორის ის დიდებული ადამიანი, რომლის სახელს ხელდაბანილი პილატეები ეხლა ათასგვარათ ამრუნებენ.

მოწინააღმდეგის ნაკლულოვანებათა დაფასებაში მოკამათე ყოველთვის აჭარბებს, მაგრამ პირდაპირ გამოგონება ბოროტმოქმედებისა გადამახინჯება აზრის—საზიზღრობაა!

ადამიანის სახელის შელახვა, მისი დამცირება—საგმობია, ხოლო საშუალებანი, რომელსაც თქვენ მიმართავთ განსაჯოს ქართველმა ერმა და მომავალმა.

მე კი არ შემიძლია არ ამოვიკვნესო: სირცხვილია, სირცხვილი! X.

„მეგობრის" რედაქციას.

(პასუხის მაგიერ.)

„სამშობლოში" დაიბეჭდა ერთი წერილი, სათაურით „ჯგუფური იერიში".

1) წერილი იგი არ მეკუთვნის პირადათ მე.

2) ადვილი შესაძლებელია წერილი დასტამბულიყო უჩემოდაც, ან ვერ მიმექცია ჯეროვანი ყურადღება, მაგრამ 3) ყველა ამის მიხედვით მე ვამტკიცებ, რომ იქ, იმ წერილში, არავითარი დაბეზღება არ არის, რადგანაც ამა თუ იმ ჯგუფს შეუძლია არა თავის კაცსაც დაავალოს რამე.

თქვენ კი ილაშქრებთ პირადათ ჩემს წინააღმდეგ და როგორც შეეფერება გაბოროტებულსა და სულმოკლე მჯდაბნელებს დაუმსახურებლად მლანძღავთ და სცდილობთ აზრი გამიტეხოთ საზოგადოების თვალში, თუმცა ჩემს მაბეზღრობას მარტო თქვენისთანა ფუტურისტები თუ დაიჯერებდენ!

როგორ უნდა მოექცეს ადამიანი თქვენისთანა „კალმოსნებს"?

მე აღარ ვიცი! ამ საკითხის გადაჭრა მიმინდვია მკითხველი საზოგადოებისთვის.

ია ეკალაძე.

ქართული პრესა.

„საქართველო" ეხება ჭიათურის მარგანეცის წარმოებას, აღნიშნავს შავიქვის მრეწველობის მნიშვნელობას ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისათვის და შემდეგსა სწერს:

თავისი ბუნებრივი უპირატესობის წყალობით ჭიათურა გადაიქცეოდა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, მადნების წყაროდ, რომ დიდ საქმეს ამ თავითვე სათავეში მოქცეოდა ეკონომიურ საქმიანობაში გამოწრთობილი და მსოფლიო მრეწველობის და ბაზრის საკითხთან ჯეროვნად გაცნობილი პიროვნება. მაგრამ მთელი ქართველობის სამწუხაროდ, ჩვენმა ქვეყანამ ვერ წამოაყენა ასეთი პიროვნება მთელი ჩვენი წარსული და არსებული სოციალ-ეკონომიური ცხოვრება და აღზრდა ასეთ ტიპს ვერც ჩამოაყალიბებდა და დიდი საქმე თან და თან იღუპებოდა. ეკარგებოდა ჭიათურის შეუდარებელი სიმდიდრე არა მარტო ადგილობრივ წვრილად ჩუბინაშვილ--ხაბულიანებ--[illegible], არამედ მთელ ქართველობას, მთელ საქართველოს, და მთელს დედა-მიწის ზურგზედ ჯერ სწორ-უპოვარი ჩვენი განძი გადადიოდა ბერძნებისა ფრანგებისა, ინგლისელებისა გერმანელებისა და სხვათა ხელში.

ყველამ უწყის, რომ რუსეთის მთავრობამ ხაზინის საკუთრებად გამოაცხადა ჭიათურის ის მადნიანი ადგილები, რომელიც გერმანელებს ეკუთვნოდა მთავრობის ეს განკარგულება ფრიად საგულისხმიერო უნდა ყოფილიყო ქართველობისათვის. თუ სადმე გავლენიანი და მდიდარი პირები მოგვეპოვებოდა, თუ ქართველი რამ ბანკები ჩვენში არსებობენ, თუ სადმე იქნებოდა ცოცხალი მომქმედი და ინიციატივიანი კაცი, უნდა ყველა და ყველაფერი ამოძრავებულიყო და ამუშავებულიყო, რომ ეს ჩამორთმეული მაგნები, რომელიმე ქართულ ორგანიზაციის ხელში ჩავარდნოდა. ამაზედ ყველაზე მეტი უფლება ისევ-ისე შავი ქვის მრეწველთა საბჭოს უნდა დაიმთობოდა. ერთი სიტყვით ეს საკითხი ცოცხალ ეროვნულ ეკონომიურ პოლიტიკის საკითხად უნდა გადაქცეულიყო და ჩვენი საზოგადოებრივი ენერგია და გულისყური პირველ ყოვლისა მას უნდა მიქცეოდა! ვის უნდა გამოეტანა ეს საკითხი გარედ, ვის უნდა დაეყენებინა იგი საზოგადოების ყურადღების წინაშე, ვის უნდა მოეთხოვა საზოგადო შველა და დახმარება მის გადასაწყვეტად ჩვენდა სასარგებლოდ? ვის უფრო გათვალისწინებული უნდა ჰქონოდა ამ საქმის დიდი ეკონომიური ღირებულება და მისი დაუფასებელი მნიშვნელობა ჩვენს ეროვნულ [illegible] აღორძინებაში?! ჩვენს გვგონია, ყველაზედ უკეთ ეს უნდა ცოდნოდა თვით შავი ქვის მრეწველთა საბჭოს; მეტიც, ამაზედ ხმის ამოღება მისი პირდაპირი მოვალეობა იყო. საკუთარ გაზეთის ქონაც საბჭოს წევრებს დიდად ხელს შეუწყობდა საქმეში სადაც ორ-ორი მეთაური და ფელეტონი დიდის ხალისით დაიწერება საარჩევნო [illegible] და არ არსებულ „დასელთა და ნაციონალ დემოკრატთა სამარცხვინო ბლოკზე", იქ ერთი სათაოთანა წერილის მოთავსება დიდ საქმეზედ შესაძლებლად გვქონდა წარმოდგენილი.

მაგრამ ჩვენში რა ხდება [illegible] ერა, რომ ეს მომხდარიყო?!

ჩვენ გავიგეთ რომ [illegible] განზრახვა აქვს ჭიათურის [illegible] ნაინი ადგილები ინგლისსა თუ საფრანგ [illegible] ხაზინის ხელში, მისაღლოდნელია ფრანგულ კომპანიებში, რადგანაც მთავრობას ფული დიდ ესაჭიროება გავიგეთ აგრეთვე, რომ კავკასიის მთავრობას პეტროგრადში წარუდგენია, რომ ჭიათურის აღნიშნული ადგილები იჯარით გაცემულიყო. გაგვიგია ისიც, რომ სომხის კაპიტალისტები სცდილობენ, რომ იგი ხელში ჩაიგდონ. რომელი აზრი და წინადადება გაიმარჯვებს, არ ვიცით არც ის ვიცით, თუ ვინ დაეპატრონება ამ ძვირფას ადგილებს: ფრანგი ინგლისელი, სომეხი თუ პოლონელი, ერთი რამ ცხადია, რომ ეს ადგილები ქართველებს კვლავაც დაეკარგებათ. მართალია, მთავრობას მაინც და მაინც არ სურს ნაცი[illegible] ერი ინტერესის თუ სხვა რამ მოსაზრების ძალით ეს მაწები ქართულ ორგანიზაციებს შეაძლებინოს, ჩვენ ბევრიც რომ ვიფიქროთ ვერას [illegible] ხდებით. მაგრამ მაინც საჭირო იყო მოქმედება, რომ ეს ადგილები ჩვენ დაგვრჩენოდა, ცდა რომ [illegible] გვეხმარა, ჩვენი ეროვნული გავლენის ძალა-ენერგიის და [illegible] ნასწავლის მაქსიმუმი, რომ მთავრობის ჩვენთვის დაეთმო ამ ადგილების შეძენის [illegible] ექსპლოატაციის უფლება.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

პ. დ. ს.

მინისტრთა საბჭოს გადაუწყვეტია, თუთუნის წარმოებაზე აქციზი მოუმატოს.

✦ ჩვენს გაზეთში მოთავსებულ წერილს „სომხეთი საქართველოში" დიდი კამათი გამოუწვევია სომხურ პრესაში, ხვალ ჩვენ დავბეჭდავთ წერილს გაზეთ „მშაკის" საპასუხოთ.

✦ ამბობენ, და რამდენათ მართალია ეს ჯერ ჩვენ არ ვიცით, რომ ახალციხის ქართველ კათოლიკეთა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ძველი არქივი, რომელიც დაარსებულია XVII საუკ., ამ ბოლო დროს, ქართველ კათოლიკეთა მტერ-მოყვარეს და ამავე თემის უფროს მართველს სომეხ-კათოლიკეთა მღვდელს ტერ-აბრამიანს თფილისში გადაუტანია, ვინაიდან თფილისში აკეთებენ იგინი სომეხ-კათოლიკეთა ეკლესიას და, ალბად, ამ არქივსაც აქ მოათავსებენო.

ამ ძველ არქივში ბევრი ძველი წიგნები და მასალები იყო დაცული და დღეის შემდეგ იგინი რა დღეში მოთავსდებიან, ეს ჩვენ ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ამ არქივში ბევრი ცნობა

„ცისფერ ყანწების" აპოლოგეტის, ბ. რობაქიძის ლექცია*)

მართალი მოგახსენოთ, ჩვენ არ გვსუროდა ბ. რობაქიძის, ლექცია გამოგვეფინა გაზეთის ფურცელზე, მაგრამ როცა „ჩვენი მეგობრის" 35 №-რი შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა, რომელიც იმავე „ც. ყანწების" აპოლოგეტია და რომელმაც პირველი ადგილი დაუთმო დარიანების პორნოგრაფიულ ლექსებს, გასაკვირი არ არის ბ. რობაქიძის ლექციას ამ გაზეთის ხელმძღვანელზე საამური შთაბეჭდილება მოეხდინა. „ჩვენი მეგობრის" 35 №-ში ჩვენ ვკითხულობთ: „ყველამ კარგათ იცის, თუ როგორი ატმოსფერა შეიქნა „ცისფერ ყანწების" გარშემო, ჩვენს საზოგადოებრივ და ესთეტიურ აზროვნობაში. გავრცელდა ხმები, რომ ბევრის მტრულმა განწყობილებამ „ცისფერი ყანწებისადმი", შეაშინა თვით ალმანახის რამდენიმე მონაწილენი და ისინიც მზად იყვნენ უარი ეთქვათ თავის ორგანოზეო" და სხვა. უნდა ვიფიქროთ, რომ „ჩვენი მეგობრის" აზრით, გრ. რობაქიძის ლექციას „ცისფერი ყანწების" შემთხვევითი მონაწილენი კვლავ დაუბრუნებია პავლუშა იაშვილის ალმანახის სათანამშრომლოდ.

და „ც. ყ"-ბის პრესტიჟიც აღუდგენია მას საზოგადოების თვალში. ვნახოთ, ეხლა რას წარმოადგენდა ბ. რობაქიძის ლექცია და რას მოიწონებდა მასში საზოგადოების შეგნებული ნაწილი.

„მეგობარი" დიდი ასოებით აცხადებდა ბ. რობაქიძის ლექციას, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა 6 აპრილს ქუთაისის ქალაქის თეატრში. საზოგადოების შეგნებული ნაწილი დაესწრო ამ ლექციას მისთვის კი არა, რომ ბ. რობაქიძის მოსმენა წყუროდა, არამედ მისთვის, თუ რას იტყოდა ბ. რობაქიძე „ც. ყანწებზე". რას დაიწუნებდა და რას მოიწონებდა ამ ყოველმხრით უარსაყოფ მოდურ „პოეზიაში." დამსწრე საზოგადოების უმრავლესობა, რომ აღტაცებით არ შეხვედრია ბ. რობაქიძეს 6 აპრილს, ამას თვით ბ. რობაქიძის წინასიტყვაობა მოწმობს. და ის ტენდენციური აზრის გაშუქება, რომელიც ჩვეულ „მეგობარს", ვერავის ვერაფერში ვერ დაარწმუნებს, გარდა იმისა, რომ ეს გაზეთი უტიფრათ სტყუის და ფაქტებს ამახინჯებს. ჩვენ ბოდიშს ვიხდით „მეგობრის" ზოგიერთ თანამშრომელთან, რომელნიც ჩვენზე ნაკლებ წინააღმდეგნი არ არიან „ც. ყანწების" გამოჩეკით ჩვენში, მაგრამ მათი ხმა რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა" და „გაშტიბული პოლო" და „იტალიელი იაშვილი" აღდგომა დღეს „მეგობრის მკითხველთ „წითელი ხარებით" ულოცავს.

ბ. რობაქიძის აპოლოგია „ც. ყ. ზე"

„მე ვგრძნობ, ჩემსა და თქვენს შორის ხიდია გატეხილი. მე „ცისფერ ყანწელებთან" ერთად, თქვენ თვალში ფუტურისტი გამოვედი. მას შემდეგ, რაც ჩვენი ალმანახი გამოვიდა, ბევრი რამ ითქვა ჩვენს შესახებ

თბილისი სდუმს, ქუთაისი უფრო ტემპერამენტის ქალაქია. ამ ალმანახმა საშინელი გაუგებრობა წარმოშვა.

მე ქართველი ვარ და საშინელი ამაყი. არავის არ ვეარშიყები და ყოველთვის გულწრფელათ ვიცავ ჩემს შეხედულობას „ეშმაკის მათრახში" ორი წერილი იყო ჩემს შესახებ, მე ორივე ავტორის მადლობელი ვარ. ერთი ჩვენი გამოჩენილი მწერალი ამბობს: „მე ფუტურისტი ვერ ვიქნები, რადგან 45 წ. გადავცილდიო" მაგრამ მე ვამბობ, რომ მას თმაში ერთი თეთრიც არ ურევია და აღტაცებული ვარ მით, რო მან თანაგრძნობა გამოგვიცხადა.

ჩვენი ჟურნალი არ გამოსულა საერთო რედაქციით. შემდეგში თითოეული ჩვენგანი თავთავისი რედაქციით გამოსცემს. მე ამ ჟურნალში ვხედავ ახალ ხანას ქართულ ლიტერატურაში. ჩვენი სიტყვა ყოველთვის გაბედული იქნება და მე გამოვდივარ, არა მარტო დამცველის როლში, მე გამოვდივარ, როგორც მეგობარი ამ ჯგუფისა და შევეხები არა მძულვარებით, არამედ სიყვარულით მათ ნაკლს.

განა მე ფუტურისტი ვარ? მე. გრიგ. რობაქიძე?

მე, რომელმაც ვადიდე ჩვენი წარსული და რუსთაველი? მთავარი ღერძი ფუტურიზმისა არის უარისყოფა ყოველისა, როგორც წარსულისა, ისე მომავლისა.

მათი აზრით, წარსული მთლიანათ უარისაყოფია. ჩემი აზრით კი, დროთა ცვლაში არის რაღაც, რომელიც დროის გარეშე რჩება. რომელიც აერთებს გუშინსა და დღეს. ფუტურიზმი არის მეტაფიზიკური ნიჰილიზმი და წააგავს იმ ავტომობილს, რომელსაც სათავეში გიჟი შოფერი ჰყავს. მე ვეკუთვნი მარადისობის მსოფლიო მხედველობას მაგრამ ამასთან ერთად ვაღიარებ სიახლეს ხელოვნებისას. განა ეხლა შეიძლება რუსთაველის სტილით წერა? ან ლეონარდო დავინჩის სტილით ხატვა? ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი სტილი. მე, როდესაც ჩემს მეგობარ რუსის ფუტურისტებს გადაუთარგმნე „ც—ყ-ბი", სასაცილოთ აიგდეს და ფუტურიზმის ნასახიც კი ვერ იპოვნეს იქ. (სჩანს, „ც. ყ-ბი" ფუტურისტები არ ყოფილან. მაშ, რაშია მათი განსხვავება ბ. რობაქიძესთან?)

„ყვითელი დანტე" და სხვა სრულიად რა არის დანტესა და შექსპირის უარისყოფა ამას იქ მოთავსებული ბალმონტის ლექსი ამტკიცებს. (მხოლოდ ბ. რობაქიძისათვის სხვისთვის ბალმონტის ლექსი იაშვილისა და გაფრინდაშვილის „მაღალ ნიჰილ'იზმს და à la რუსთაველობას" ამტკიცებს და სხვას არაფერს.)

„ცისფერი ყანწების", მანიფესტი შაბლონის წინააღმდეგია. მრავალია დღეს შარლატანი ხელოვნებაში, როგორც ჩვენში, ისე სხვაგან, რომელთა ტეხნიკური ლექსთა წყობა შაბლონია. მანიფესტი ამ შარლატნების წინააღმდეგ ამხედრებაა ჰაბუკური ტემპერამენტით და სხვა არაფერი".

იქ მაგონდება ტურგენევის ერთი ლექსი პროზით.

,,Проидоха'', რომელიც ერთს თავის მოსაუბრეს ურჩევს: თუ გინდა რომ მოწინააღმდეგე შეარცხვინო, ჩაიხედე შენს გულში და რაც ნაკლულოვანება დაინახო, შენში, ის მიაწერე შენს მოპირდაპირეს, აღშფოთდი და ისე ამხილე იგი საკუთარ შენს ნაკლულოვანებაშიო.

„ეროტიზმი. ჩვენ ქართველებს თავისუფალი ადამიანები არა გვყვანან. ჩემთვის ყოვლგვარი მოტივები არსებობს, ოღონდ ის ხელოვნურად იწერებოდეს ოსკარ უალდის „სალომეია" იოანეს თავს მოკვეთავს და შემდეგ ამ სისხლიან თავს კოცნის; და ეს პორნოგრაფია კი არ არის. ეს ეროტიული განცდაა."

(ეს პორნოგრაფია თუ არის, ბ. რობაქიძე, ეს ნამდვილი სადიზ'ი გახლავთ.)

„ეროსი არის სილამაზეში შექმნილი სიყვარული. პლატონის სიყვარული თავიდან ბოლომდე ეროსია." (ჩვენ ვაღიარებთ რომ ბ. რობაქიძე, როგორც ფრანგი სიმბოლისტები,—ეროტომანია, ამისთვის მას ყველგან ეროსი ეჩვენება. პლატონის ფილოსოფიაში მხოლოდ ეროტომანი დაინახავს ტლანქ სქესობრივ ლტოლვას, ან ლამაზი ტანის სიყვარულს. ნორმალური გრძნობიერების ადამიანი კი, პლატონის ფილოსოფიაში ხედავს მხოლოდ მას, რომ პირველდაწყებითი ეროტიული გრძნობა, რომელიც მარტო გრძნეულ სიყვარულში იხატება, მის ფილოსოფიაში უმაღლეს ზნეობრივსა და სულიერ სიმაღლემდეა აღწეული. პლატონი ადიდებდა, ისე როგორც ჩვენი დიდი მგოსანი რუსთაველი, რომელიც ბ. რობაქიძეს თავის გემოვნებით ამხანაგათ მიაჩნია სიმშვენიერეს, როგორც გამღვიძებელს უმაღლეს მისწრაფებისას. პლატონის სიყვარული ეს სულის შინაგანი მშვენიერებაა, რომლითაც ის ენათესავება ქრისტიანობას და არა ნიც[illegible] ტლანქ დესპოტიურ ანტიკურ ესტეტიკას, როგორც ბ. რობაქიძე.)

„კაცობრიობა ორ სქესად არის გაყოფილი, ამისათვის არსებობს სქესობრივი ლტოლვა მთელი გრძნეული გრძნობით და გამოლტოლვა ზიზღით

ჩვენ ვიცით დანაიდები, ბრძოლა ვაჟისა და ქალის სქესთა შორის არის კოსმიური საიდუმლოება. ჩვენ ვიცით, ამაზონკების სქესობრივი ბრძოლა. აქილესი სიყვარულმა მოკლა. სალომეია მოითხოვს თავის საყვარლის თავის მოკვეთას და შემდეგ კოცნის მას. ეს არის კოსმიური საიდუმლოება და არა პორნოგრაფია.

ნ. ლორთქიფანიძეს აქვს ერთი მოთხრობა, როცა კაცს ხელში ვილაც შემოაკვდება და შემდეგ ცოლთან მიდის. აქ ბ. რობაქიძე დემონიურად დაიწყებს ვერხარნის ლექსის კითხვას.

ბ. რობაქიძის თვალში დედაკაცი აპოკალიპსიური მოჩვენებაა, სისხლის მწყურველი, რომელიც თავის გარშემო ჯოჯოხეთურ ტანჯვასა და უბედურებას აფრქვევს, მაგრამ დემონიურად მომხიბვლელი [illegible]

---

*) ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიგვიანდა და ახლაც ვბეჭდავთ იმიტომ, რომ მკითხველ საზოგადოებას დავანახოთ ბ. რობაქიძის „ფოკუსნიკობა". **რედ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო დარჩენილი ქართველ კათო ოკების გრიგორიანობასთან დაკავში ების შესახებ.

◆ კვირას, 24 აპრილს, ქუთაისის ქა ქის ბაღში დანიშნული იყო დიდი სა ლხო სეირნობა. სეირნობის წმ. შემო ვალი გადადებული იყო ქუთ. კლასი ური გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა ის სასარგებლოთ, მაგრამ, ცუდი ამინ ის გამო, გადაიდვა სხვა დროისთვის.

◆ პარასკევს, 22 აპრილს, დანიშნული თაისის ქალაქის საბჭოს სხდომა, ხმო ნთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის მო, არ შესდგა. ამ დღეს უნდა არჩეუ იყო ქალაქის თვითმართველობის მოსამ ურეთა ახალი შტატი. ამ საკითხის გარ ჩევაზე კანონით საჭიროა დაესწროს ხმო ნთა უმრავლესობა.

◆ გუშინწინ, 24 აპრილს, მოხდა ქუთ ური, საზოგ. წევრთა წლიური კრება. ებამ დაადგინა დარჩეს თავმჯდომარის ლზე ბ. რ დათეშიძე, დირექტორათ კემულარია. საბჭოსი და სარევიზიო მისიის წევრები უცვლელად დარჩენ. წერილებით ანგარიშს ხვალ მოვათავ ებთ ჩვენს გაზეთში.

◆ ნოშრევან ლაშხი გვთხოვს გამოვაცხა თ, რომ მან დაჰკარგა ადგილის გზგმას ანის) ასლი. მპოვნელს უმორჩილესად თხოვს წარმოადგინოს არქიელის გორაზე ოშრევან ლაშხთან, რისთვისაც მიიღებს შეს ფერ ჯილდოს.

◆ როგორც გადმოგვცეს, თავად ლე ნ გურიელის მკვლელები უკვე შეუპ რიათ.

◆ დ ზესტაფონის მცხოვრებმა ლევან აბერიძემ შუამდგომლობა აღძრა ქუ თაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნე ა დართოს გახსნას დ. ზესტაფონში პრა ევის სასწავლებელი.

◆ საქველმოქმედო საზოგადოების ქუ თაისის განყოფილების თავმჯდომარე მარ. ლ. ვენცელისა სთხოვს ქუთაისის გუ ერნატორს, რომ დართოს ნება პირველ ისს, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ბჭოს დარბაზში, მოახდინოს ხსენებულ საზოგადოების წევრთა წლიური კრება. განსახილველია წასული 1915 წ. ხარჯთ აღრიცხვა დ დამტკიცება, გამგეობის წევრ თა ამორჩევა და 1916 წ. ხარჯთ აღრიც ვს წილება.

◆ კვირას, 24 აპრილს, ქუთაისის გუბერნატორი გრაფი გუდოვიჩი დღის მატარებლით გაემგზავრა თბილისს, სადაც მიიღებს მონაწილეობას ერობის თათ ბირზე.

◆ ამ ბოლო ხანს ქუთაისში ძალზე გავრცელდა წვრილმანი ქურდ ბაცაცები. ურდები დაიარებიან ეზოებში და რასაც ხელს მოავლებენ იტაცებენ. 22 აპრილს თბილისის ქუჩაზე კარლოვის დაღმართზე გასტეხეს მიხ. ლოლუას ბოქლომით დაკეტილი სამზარეულო და წაიყვანეს შინაური ფრინველები. საჭიროა ამ არა სასურველ მოვლენას დროზე მიექცეს ყურადღება.

◆ ქუთაისის ქალაქის მოურავი ბ-ნი ი. მ. ჩიქოვანი უკვე გაემგზავრა თბილისს ერობის საკითხის თათბირზე დასასწრებლათ.

ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობა, რომ ქალაქის მხრით 2 წარმომადგენელი დასწრებოდა გარდა ქალაქის მოურავისა, ერობის საკითხის თათბირს, მთავრობამ არ დააკმაყოფილა.

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურობის წინამძღოლი თ-დ დ. ო. ნიჟარაძე ამ ჟამათ თბილისში იმყოფება. ის მონაწილეობას მიიღებს ერობის საკითხის გარჩევაზე

◆ მთავრობის განკარგულებით გაანთავისუფლეს და კავკასიაში ცხოვრების უფლება მიანიჭეს ს. კვალითის (შორაპნის მაზ.) მცხოვრებს კონსტანტინე ნებიერიძეს, რომელსაც ეკრძალება რკინის გზით მგზავრობა სამხედრო წესების მოხსნამდე.

◆ ქუთაისის საგუბერნიო წვრილი კრედიტის სამმართველომ ნება დართო ს კურსების წვრილი კრედიტის საზ. გაავრცელოს თავისი ოპერაციები: ს. რიონს, ჰოლევს, ზარათს, სორმონს და ნოგას, აგრეთვე სამას-სამასი მანეთის კრედიტი მოუმატეს ონისა და დ. ზუგდიდის წვრილი კრედიტის ამხანაგობათ.

◆ პურის საკითხი ქუთაისში კვლავ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება ნამდვილი ცნობებით, ორი დღის შემდეგ პური გამოილევა.

მეფურნეებმა შუამდგომლობა აღძრეს, რომ კიდევ დარჩა ორი დღის საკმარისი ფქვილი და ნება მიეცესთ, ანამ ფქვილი არ მოვა, იმ ფასებში გაყიდონ, როგორც ამ ხუთი დღის განმავლობაში ყიდდენ. ქალაქის გამგეობამ დააკმაყოფილა მეფურნეების მოთხოვნილება.

◆ ქუთაისის კოოპერატიულ საზოგადოების გამგეობამ არქიელის გორაზე ახალი კოოპერაციის დამაარსებელ კომისიის წევრებს უპასუხა, რომ საზ. შეუძლია გახსნას განყოფილება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ადგილობრივი საზოგადოება გაასაღებს ოთხ ტომარა ფქვილს და ეყოლება არა ნაკლები 160 წევრისა.

◆ 23 აპრილს ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუყენა არქიელის გორაზე მოვაჭრე პეტრე სალაღოვს პურის ზედმეტ ფასად გაყიდვისათვის.

◆ დონის როსტოვიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ფქვილი ადგილზე ღირს ერთი ტომარა № 4. 13 მ. № 5. 12 მ. 30 კ. № 6. 12 მ. № 7. 11 მ. 50 კ № 8. 10 მ. 80 კ სტავროპოლში კი № 4—12 მ. 50 კ. № 5—11 მ. 75 კ № 6—11 მ. № 7—10 მ 25 კ. № 8—9 მ. 25 კაპ.

◆ გუშინწინ ციხიდან გაანთავისუფლეს ყოველდღიურ გაზეთ ,,ჩვენი აზრის'' რედაქტორი ლ. ცაგარეიშვილი

სოფლად

ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო გახსნან მომხმარებელი საზოგადოებები შემდეგ სოფლის მცხოვრებთ: ს. ნიკორწმინდაში (რაჭ მაზ.) „ყაირათი“, ს. კორბოულში (შორ. მაზ.) „კორხოთი“, ს. საზანოში (შორ. მაზ.) „იმედი“, სოფ. საჩინოში (ზუგ. მაზ.) „სინათლე“, სოფ ჯგალში (ზუგ მაზ) სიმართლე“. ს ნაფარძევის საზ (სენ. მაზ) „წარმატება“, აბედათის საზ (სენ მაზ) „დახმარება“ ს. ჰოგაში (ზუგ. მაზ.) „სიმართლე“ ს. პუკში (ზუგ მაზ.) „საშუალება“ ს. სიმონეთში (ქუთ მაზ.) „განთიადი“, ს. ქოლობანში (სენ. მაზ.) „იმედი“, ჩხოროცყუის საზ (ზუგ. მაზ.) „ჩხოროცყუის მომხმარებელი საზოგადოება“; ს. კულაშში (ქუთ. მაზ) „შელავათი“, ს. ძეძილეთში (ქუთ. მაზ.) „ალიონი“ ს. ბანძაში (სენ. მაზ.) „ნიხრი“; ს. მუხაყრუაში (ქუთ. მაზ.), მუხაყრუას საზოგადოება“ და ს. მოლითში (შორ. მაზ.) „იმედი“.

— სოფ. ზემო თლუხში (რაჭის მაზრაში) დაიწვა სამრევლო ერთ კლასიანი სკოლა. ზარალი 450 მანეთის არის. გამოირკვა, რომ ეს მოხდა ამ სკოლის მასწავლებლის ვარლამ დემეტრაშვილთან კერძო ინტერესით ბრალს სდებენ ქვრივ ქალს სადიკო გურგენიძეს.

— 18 აპრილს დ. ახალ სენაკში რუსეთის საზოგადოების საწყობიდან მოიპარეს 600 მან. ღირებული სხვა და სხვა საქონელი.

პროვოკაციის გამო.

დღევანდელმა საერთაშორისო ომმა სომხის მდიდარი შოვინისტ-ნაციონალისტები ბრძოლის გუნებაზე დააყენა და თავის სამოქმედო ასპარეზის გაფართოებას შეუდგენ. მათი სულის კვეთებაა—შექმნან ვართან დიდის დროინდელი ჰაისტანი საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევათ არ ერიდებიან არავითარ ხერხსა და ღონისძიებათ იგინი კარგათ ხედვენ, რომ ყველაზე უფრო მეტ სამსახურს ამ მიზნის განხორციელებაში პრესა გაუწევს და ამიტომაც მთელი ქვეყნის სატახტო, თუ თვალსაჩინო პროვინციალურ ქალაქების გაზეთებში საკუთარი განყოფილებები გაიჩინეს ზოგგან თავისი საკუთარი ორგანოებიც კი დაიარსეს. რასაკვირველია, ფულით მათ ყველაფერი შესძლეს და მოახერხეს.

ამ მოსყიდული პრესის საშუალებით მთელ ქვეყნიერებას ამცნობდენ და ამცნობენ სომხის ერის ღვაწლს აღმოსავლეთის კულტურის განვითარების საქმეში, მათ ენერგიულ მოქმედებას დღევანდელ მსოფლიო ომში, რის გულისთვისაც ოსმალეთის სომხეთი მიწასთან გასწორებულ იქნა ოსმალეთის მთავრობისაგან, ხოლო იმ ერის წინაშე, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში თავის საკუთარს, დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდა, რომელ ერსაც მრავალ გზის ურიცხვი მსხვერპლი შეუწირავს შემოსეულ მტრებისაგან თავის მეზობელ ერის დასაფარავათ, მაშინ როდესაც სომხობა სპეკულიაციას ეწეოდა და შინაურ ცხოვრებას აფართოებდა, ვამბობთ, ამ ქართველი ერის წინაშე სომხის კაცი ჰამია ნაციონალისტები აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებენ და არა თუ მადლობის ღირსად ხდიან, ყოველი მხრით სცდილობენ სახელი გაუტეხონ, დამცირონ მტრისა და მოყვრის თვალში, დააბეზღონ მთავრობასთან, ხოლო მათი მამულდედული (საქართველო) „ჰაისტანად“ გამოაცხადონ.

და აი, როგორც ზევით ვსთქვით, სომხის შოვინისტებმა ნაძარცვი კაპიტალით სხვადასხვა მხარეს ფილიალური ორგანიზაციები მოაწყვეს და აალაპარაკეს. დღეს დიდ ბრიტანეთში სომხების კატასტროფაზე კამათობს ბ. სესილი, აახმაურეს აგრეთვე ამერიკა და იტალია, რაც შეეხება რუსეთის ლიბერალ მოღვაწეებსა და მართველ წრეების ზოგიერთა მაღალ მოხელეს—ესენი ხომ ლამის არის ყურმოჭრილ მონათ გაიხადონ.

რუსეთის გამოჩენილ ლიბერალთა შორის დიდიხანია გამოერკვა ცნობილი მილიუკოვი, რომელმაც სომხის შოვინისტების გულის მოსაგებათ თავისი ლექციებით ქვეყანას ამცნო, რომ რუსეთის წინაშე დღევანდელ ომში ყველაზე დიდი ღვაწლი სომხებს მიუძღვისთ—და აღმოსავლეთის ერთად ერთი კულტუროსანი ერის სომხეთი უსათუოდ აღდგენილ უნდა იქნესო...

რუსეთის მოლიბერალო პროფესორთა პრესას ხომ სასწაულ მოქმედებით გამოჰყავს სომხობა და ყველა მის ტკივილს საჭიროებათ ხაზ გასმით აღნიშნავს

თავისი აგრესიული მიზნების განსახორციელებლად და სამოქმედო ასპარეზის გასაფართოებლად საჭირო იყო საკუთარი ორგანოს დაარსება საქართველოს დედა ქალაქ თბილისშიაც, და რუსულ ენაზე კიდეც დაარსეს „კავკ. სლოვო“, რომლის საშუალებითაც აუწყებენ ქვეყნის ერებს ქართველი ხალხის [illegible] რუსეთის სამეფოს მიმართ [illegible] ან გერმანოფილობას. ამ ბრალდების დასამტკიცებლად მათ ბევრი ხერხი იხმარეს, თუნდა გაიხსენეთ „ვიწეს ამბები“, „აჭარელთა პროცესი“ „სტამბოლში ქართველ ხანჯლოსების გაჩენა“ და სხვა, რაც ნათლად ააშკარავებს მათ სამარცხვინო საქციელს

თავის ინსინუაციებს რომ მეტი გასავალი მისცენ, სომხის შოვინისტებს ხელში ჩაუგდიათ უთუოდ ვერცხლის მოყვარე საბრალო „პ“, რომელიც „რუსკ. ვედ.“ ფურცლებზე პოეტურის სიტყვებით ბოდავს კავკასიის ცხოვრების შესახებ, ქართველებს ოსმალების ორიენტაციის მატარებლათ სახავს და გერმანოფილებს უწოდებს

ჩვენ გვაკვირვებს ამ შემთხვევაში მხოლოდ ის გარემოება, თუ რად დაუთმო ასეთ წერილს ადგილი „რუს. ვედ.“ რედაქციამ, მაშინ როდესაც ქართველმა ერმა აუარებელი საუკეთესო ძალა შესწირა რუსეთის სახელმწიფოს და სწირავს კიდეც, მაშინ როდესაც ამ მამაც ქართველ მებრძოლთა გმირობა ოფიციალურად დამტკიცებულია და მთელმა რუსეთის საზოგადოებამ კარგათ უწყის?

ჩვენთვის—ქართველებისათვის, —აღსაშფოთებელია „რუსკ. ვედ.“ საქციელი და ყოველი ქართველი თავის სამართლიან გულისწყრომას გამოსთქვამს, ჩვენ მოვითხოვთ, რომ „რუს. ვედ.“ რედაქციამ თავის შეცდომა საჯაროთ აღიაროს თავისსავე ფურცლებზე და გამოააშკარავოს „პ —ეს ვინაობა.

რაც შეეხება სომხის შოვინისტების შხამის ნთხევას ქართველი ერის წინაშე—ეს არა ერთჯერ გვიგემია და შესაფერ პასუხსაც მიიღებს არა მარტო ქართველი ერისაგან, არამედ მათ უგვანო საქციელს დაგმობს სომხის შეგნებული დემოკრატიაც და საბრალმდებლო სკამზე დასვამს მათ.

ქართველ ერს არასოდეს არ უწარმოებია აგრესიული პოლიტიკა და არც აწარმოებს თავის მეზობელ თუ სხვა ერების წინააღმდეგ. ამას მოწმობს ისტორიული ფაქტები და ის კეთილი განწყობილება და მფარველობა, რომელსაც ქართველი ერი აწარმოებდა მათ წინაშე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც კარგათ იცნობს ქართველების ვაჟკაცობას რუსეთის სახელმწიფოს წინაშე, რომელიც ობიექტიურის თვალით უყურებს რუსეთის შემადგენელ ერების ღვაწლსა და ამავს დღევანდელ უმაგალითო ომში თავის სამშობლო რუსეთის დასაცავათ, ჩვენთან ერთად გაჰკიცხავს და დაჰგმობს სომეხს შოვინისტების უმართებლო საქციელ ქართველების წინაშე, ხოლო „რუსკ. ვედ.“ კი თავის გულის წყრომას გამოუცხადებს ვილაც მოსყიდულ „პ“—ს ინსინუაციებით სავსე წერილის მოთავსებისათვის.

Ser.

სტუდენტთა ღაღადისი.

დღევანდელ ჩვენს გაზეთში იბეჭდება ხარკოველ ქართულ სათვისტომოს გამგეობის წერილი მოვალეებისადმი.

პირველ წაკითხვისთანავე გვაკვირვებსთ, რომ უმთავრესი მოვალეები არიან ექიმები, ვექილები, ინჟინრები, რომელთათვის 40—200 მანეთის გადახდა არც თუ ისე ძნელი უნდა იყოს.

ზოგიერთი მათგანი ამ სტრიქონების დამწერს კარგათ ახსოვს ხარკოვში: რა ტკბილათ იმღეროდენ მოვალეობის შეგნებაზე, რა აღტაცებით იცავდენ უნივერსიტეტის ავტონომიას, რა მხურვალეთ გვიწოდებდენ საერთო კეთილდღეობისთვის მსხვერპლი შეგვეწირა.

ახლა კი ოროოდე ნასესხები გროში არ სურთ დაუბრუნონ იმ სათვისტომოს, რომელმაც ხელი შეუწყო მათ გაჭირვების დროს; ახლა არა თუ თვითონ არ ეწირებიან ზვარაკათ კეთილ საქმეს, არამედ მათი გაუმაძღრობის მსხვერპლათ უნდა შესწიროს სწავლა განათლების მიღების იმედი საშუალებას მოკლებულმა ახალგაზრდობამ..

სტუდენტს შია, სწყურია, არა აქვს წიგნი, სწავლის გადასახადი ფული და ამ ყმაწვილის ფული უნდათ შეირჩინონ, უკეთეს შემთხვევაში, რაც შეიძლება გვიან გადიხადონ საკმაოდ უზრუნველყოფილმა ვექილებმა, ექიმებმა, ინჟინრებმა! შეიძლება დღეს არ ჰქონდესთ, მაგრამ სად იყვნენ გუშინ, რას აპირებენ ხვალ?! და განა 40—200 მანეთის სესხება არ შეუძლიათ? გაჰყიდონ, დააგირაონ.. ოღონდ მოხარდ ახალთაობის ვალი გადიხადონ.

ვალი 3000 მანეთამდი ყოფილა.

მამაკაცისა და ამ მომხიბლავ, გამანადგურებელი არსების დამოკიდებულება ბ. რობაქიძისათვის კოსმიურ საიდუმლოებას წარმოადგენს. ასეთია პსიხოლოგია ერომანისა ლოთისათვის, რომელსაც სული მისდის ჰიქა არაყში და კუთხეში, მჯდარი, მარტო მარტოთ ალკოლს პირში ასხამს, კოსმიურ საიდუმლოებას სიმთვრალე წარმოადგენს და სხვადასხვა.

„ბოდლერის ლექსები ეროტიულია და არა პორნოგრაფიული.

რუსთაველის შემდეგ ეროტიზმი არ არის ქართულ ლიტერატურაში''. და გრ. რობაქიძემ შემოიტანა მკითხველო, და მიამიტესა კიდეც მას თავისი ,,კოცონი''.

,,არც ერთი ქალის ტიპი არ არის ჩვენს ლიტერატურაში სინტეტიური გარდა ი. ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივისა და ისიც ურებაში და არა ეროტიზმში''.

(გული სწყდება ბ. რობაქიძეს, რომ ქართველებს არა გვყოლია ისეთი ალქაჯები და ჯოჯოხეთური მოჩვენებანი, როგორც სემიტეშის ასტარტა და სალომეა. მას სურს შექმნას ჩვენში ასეთი ტეტიური ქალთა ტიპი ეროტიზმში. ღეე, მზემ ნულარ გაანათოს საქართველოში, თუ რომ ბ რობაქიძეს ჩვენმა ცხოვრებამ ეგ ტიპები მიაწოდოს.)

,,თქვენ გავიწყდებათ, რომ არის ჩვენს ლიტერატურაში ისეთი ადგილები, რომლის მოყვანა მე აქ რა შემიძლია მაგალითად, გურამიშვილის ,,ქაცვია მწყემსი''. ერთი, რომ ,,ქაცვია მწყემსი'' არაა ჩვენში მშვენიერების ნიმუშათ არ ჩნია. და მეორეთ არ არის საერთო გურამიშვილის ,,ქაცვია მწყემსი'' და ,,ცისფერ ყანწებში''? გურამიშვილი უგვირგვინო სქესობრივ კავშირს იმდენათ ჰკიცხავს თვით უდიდეს სიყვარულშიაც, რომ ,,ქაცვია მწყემს'' და მის საცოლოს ჯვარდაუწერლათ შეერთებას ღმერთიც, კაციც და თვით ბუნებაც: ფლორა და ფაუნა ხელს უშლის. ,,ცისფერი ყანწებში'', კი ქადაგებენ: ,,გიყვარდეთ ქალი ვნებიანათ და დაუზოგავათ, ამრევლეთ ხალხიო''.)

საქმე სიტყვაში კი არ არის, საქმე აზრშია და მისწრაფებაში. საქართველოს მწერლობაში ისტორიულათ არ არსებობდა ის ზნეობრივი სიგახრწნილე, რომელსაც ,,ცისფერი ყანწების'' მეთაურები და ბ. რობაქიძე ფიქრობენ შემოიტანონ.

,,ელენე დარიანს დიდი ნიჭი ეტყობა. მას მხოლოდ ზომიერება ღალატობს ხელოვნებაში ,,ც. ყ-ბის'' მიმართულება არის სიმბოლიზმი. ეგ მცნება განურჩეველია თვით რუსეთშიაც საფრანგეთის სიმბოლიზმს გასცილდა რუსის სიმბოლიზმი, მაგ., ბალმონტი. მოსკოვის სკოლა ვ. ბრიუსოვი ფრანგსიმბოლისტების მოწაფეა. ბალმონტი უფრო პრერაფაელისტების გავლენის ქვეშაა. ფრანგ სიმბოლისტებს ფენომენალურობა უყვარსთ, ე. ი. გარეგნული სილამაზე. ნიცშეს შემდეგ ანტიური ესტეტიკა არავის განუცდია, ისე როგორც ვეჩესლავ ივანოვს ჩემს მეგობარსა და მასწავლებელს“.

სიმბოლიზმი არის პლასტიური განცდა“. ე. ი. სტილის განსახიერება პოეზიაში. ბ. რობაქიძე ტერმინებით აყუჩებს ხალხს, იმას სულ არ დაგიდევთ ესმის თუ არა მის მსმენელთ, სადაც მრავალი მოსწავლე ახალგაზრდობაც ურევია ეგ ტერმინები.

„ძველი ბერძნები პლასტიური პოეტები და სიმბოლისტები იყვნენ. განა რუსთაველი სიმბოლისტი არ არის? (sic) ნამდვილი სინამდვილე კოსმიური სინამდვილეა და არა ის, რაც გვეჩვენება. ნირვანა კოსმიური ჰყოფაა და არა არ-ყოფა“ დღემდე ვერავის ვერ აუხსნია კოსმიური საიდუმლოება და ჩვენ ქართველებმა განა ყველას არ გაუსწრით, როცა კოსმიური სინამდვილეც ვიცით! განა ტყვილა მოაქვს თავი ბ. რობაქიძეს ფილოსოფოსად?

„სიმბოლისტებს სწამთ არსი მისთიურათ ატეისტი სიმბოლისტი ვერ იქნება სიმბოლისტობა არა მარტო მეთოდია, არამედ რწმენაც“.

ვიცით, ბ რობაქიძე, რომ სიმბოლიზმი მეთოდიც არის და რწმენაც, მაგრამ ძლიერ ცუდი რწმენაა თქვენს სიმბოლიზმში.

ნამდვილი სიმბოლიზმი ჩვენში ჩამოყალიბებული არ არის. ჩვენი სიამაყე გრიშაშვილი ნამდვილი სპარსული ფარდაგია მე მიყვარს ნიჭი. მას ვერავინ ვერ შეედრება მეტაფორებში, ის არის აშუღების გენიალური დამთავრება გრიშაშვილში დუღს აღმოსავლეთის ნაკადული“.

აშუღები ქართველი ხალხის საამაყო ვერასოდეს ვერ იქნება. ქართველი ხალხი ქრისტიანობისათვის წამებული და თავ განწირული ისტორიულად, აღმოსავლეთის ჰარამხანულს გემოვნებას ვერ შეითვისებს. ამისათვის გრიშაშვილი, სანამ თავის კილოსა და მოტივებს არ შეიცვლის, მხოლოდ ბ. რობაქიძის საამაყო იქნება.

„გრიშაშვილმა აღმოსავლეთი გარდაგვიშალა თუმცა ის სიმბოლისტი არ არის, მაგრამ მაინც არ ჩამოშორდება მას. რითმაში გრიშაშვილს ვერავინ ჩვენი პოეტები ვერც ილია, ვერც ბარათაშვილი, ვერც აკაკი ვერ შეედრება. მას ერთი და იგივე მოტივები აქვს სხვა არ ეხერხება“.

(აფსუს, ჩვენო დიდო საამაყო მგოსნებო! ჯერ კიდევ არ გაციებულა ჩვენი ეროვნული სიამაყის აკაკის ცხედარი სამარეში და რას ვისმენთ? თითქო გრიშაშვილიერით იზეპირებდა რითმებს აკაკი წერეთელი, რომ მის ჩეხჩუხა პოეზიის ნაკადულს გრიშაშვილის რითმებამდეც ვერ მიეღწიოს! ვერლენის ლექსები ცოტა არ იყოს გრიშაშვილის ლექსებზე უფრო მდიდარია რითმით, მაგრამ ჯერ საფრანგეთში არავის გაუბედია იმის თქმა, რომ მას ლამარტინის და ვიქტორ იუგოს რითმა ვერ შეედრებაო.

ეგრე აფასებენ ჩვენს ეროვნულად სულის ჩამდგმელს მგოსნებს ის პირები, რომელნიც მათ სახელებს წამდაუწუმ საპოლემიკოთ ხმარობენ და რობაქიძის ასეთს აზრს კი აღტაცებით ტაშს უკრავენ).

„გალ. ტაბიძე უთუოთ წავა სიმბოლისტების გზაზე, მისი, ლურჯა ცხენები“ მისტიურია, მას მხოლოდ ფორმისა და შინაარსის ჰარმონია აკლია

„გაფრინდაშვილი განცდით ნამდვილი სიმბოლისტია და ბოდლერის შვილი, მას მხოლოდ ტეხნიკური მხარე აქვს სუსტი, მაგრამ ეს მისი ბრალია, რომ მან პირველად რუსულად დაიწყო ლექსების წერა მე მრწამს ისტორიული ტრადიცია ენისა. ადამიანი ნიცშეს აზრით სიკვდილ სიცოცხლის რგოლში ტრიალებს. ტ. ტაბიძე ნიცშეს იდეიის მატარებელია, ის სიმბოლისტი და რომანტიკოსია ერთად. ის შექმნის ბლოკს საქართველოში“.

ნ. ლორთქიფანიძე ნამდვილი ქართველი რომანტიკოსია ევროპიელი სულით.

„ც—ყანწებში„ არის ჩვენი უკეთესი ნიჭიერი ახალგაზდობა. და ჩვენ თვითონ დავამსხვრევთ „ც ყ—ბს ჩვენს თავზე, თუ ის თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებსო“.

თქვენი ყანწები ეხლაც დამსხვრეულია.

აი, საზოგადოების აზრი და სტყუის „ჩვენი მეგობარი“, ვითომ საზოგადოების უმრავლესობამ ბ. რობაქიძე მხურვალე ტაშით დაეჯილდოვებინოს

ერთი მრავალთაგანი.

ამ ფულით 200 სტუდენტის სხვა და სხვა სამუწუხო საჭიროების დაკმაყოფილება შეიძლება!

საზოგადოებამ თვალყური უნდა ადევნოს ამ მოვალეებს და აიძულოს შეასრულონ მოვალეობა — თუ არაფერს სწირვენ, წართმევას რაღას ერჩიან?

ხარკოველთა მაგალითს კარგს იზამენ, თუ სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებიც მიბაძვენ — გამოამჟღავნებენ მოვალეთა ვინაობას.. რას უნდა ველოდეთ კეთილის დამვიწყებელ ადამიანებისაგან?

ძლიერ ნაზათ მათთან მოპყრობა — ერთგვარი დანაშაულია!

Argon.

მუშა საქონლის ნაკლებობა სოფლად.

ორი წლის მოუსავლობამ დასავლეთ საქართველოს თითქმის ყოველ დაბა-სოფელში თავისი შესაფერი ნაყოფი გამოიღო. ორი წლის მოუსავლობა შორაპნის მაზრასაც დაეტყო. ჯერ ისევ შემოდგომაზე საჩხერისა და ჭიათურის რაიონების სოფლების მცხოვრებთა უმრავლესობა შიმშილის მწარე შედეგს განიცდიდა. მშრომელი ხალხის უმრავლესმა ნაწილმა თავისი მარჩენალი ხარები, თუ სხვა შინაური პირუტყვები ჩალის ფასათ გაყიდა და აღებული ფულით სიმიდი იყიდა ცოლშვილის გამოსაკვებათ, დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს არჩია უბედურმა და განაწამებმა გლეხმა.

დადგა ხვნა-თესვის ალო და უხაროთ დარჩენილი, გულხელდაკრეფილი გლეხი მწარეთ შეჰყურებს თავის მომავალს და ვერაფერ საიმედოს ვერ ხედავს.

— რა დათესოს ან რითი მოხნას, აი საკითხი, რომელიც მას მაჯლაჯუნასავით დასწოლია გულზე და სულს უხუთავს. ძალიან დიდ ბედნიერებათ უნდა ჩაითვალოს, რომ ამა თუ იმ სოფლის 100 კომლ მცხოვრებელში 30—40 ყავდეს სამუშაო საქონელი. სხვანი უხაროთ არიან დარჩენილი. გული მოგიკვდება კაცს, როცა ზემო იმერეთის საყანე მიწებს დაუხნავს ხედავ აქა-იქ თუ შეხვდებით ხნულებს.

სათესლე სიმინდი, ჯერ სულ არ იშოვება და, თუ სადმე აღმოჩნდა, იმერული კოდი (2 ფ 16 გირ) 5 მანეთად ფასობს. ულელი ხარიც დღეში — 5 მან. ამგვარათ უხაროთ დარჩენილი გლეხი ორ ცეცხლშია ჩავარდნილი: სათესლე სიმინდს თუ იშოვნის საყიდლათ, ხარს ვედარ შოულობს და, პირიქით.

თუ როდესმე საჭირო იყო მეზობლების დახმარება ერთმანეთისთვის, სწორეთ დღესაა. მთავრობა, რასაკვირველია, ხარით გლეხს ვერ დაეხმარება, დახმარებას ვინ ჩივის, რომ მუშა საქონლის მობილიზაცია არ მოეხდინა.

მაშასადამე, საკითხია როგორ უნდა მივეშველოთ ქვეყნის მარჩენალ გლეხს. ბევრი ოჯახი უმუშახელოთ ან სრულიად დატოვებულია, ან ერთი მოხუცებული კაცის ანაბარა, რომელიც სხვა დროს კარში ვერც კი გამოვიდოდა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ — გაჭირვება მიჩვენე — გაქცევას გიჩვენებო, ასეა მათი საქმეც თოხით-კი იმდენს ვერ დაითოხნის, რომ საკმაო იყოს მოსავლის მოსაყვანათ. უმთავრესად საჭიროა მუშა ხარით დახმარება და ეს უნდა იკისრონ ხარის მეპატრონეებმა.

წინათ ზემო იმერეთში ტრადიციულათ იყო დარჩენილი უსასყიდლოთ მოხმარება მეზობლისა. ასეთი მოხმარება დღეს სწორეთ დროის შესაფერია და მეზობელთა შორის კეთილ განწყობილების გამამტკიცებელი. ნუ ვიფიქრებთ იმას, რომ ოღონდ მე ვიყო და სხვას რას დავეძებო· გავუშვიროთ ხელი ხარის მეპატრონეებმა ჩვენს თანამოძმე მეზობლებს, რომელთა შვილებიც ბრძოლის ველზე არიან წასული და რომელი მეზობლებიც უსაღსრობის გამო იძულებული იყვნენ მუშა საქონელი გაეყიდათ საკვებ სიმინდის შესაძენათ. მივეხმაროთ მათ უსასყიდლოთ და გადავაშაოთ ჩვენს ხნულებთან ერთად მათი მიწებიც.

ასეთ შემთხვევაში საჭიროა სოფელი სოფელს დეეხმაროს, მეზობელი-მეზობელს და ყველა საერთოდ უნდა ვსცდილობდეთ ერთმანეთის ნივთიერად გაღონიერებას, ფეხზე წამოყენებას, გამხნევებას სოლიდარობის განმტკიცებას ამ საერთო უბედურებისა და ეკონომიური კრიზისის განცდის დროს

კარმანოზი.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

23 აპრილი

საფრანგეთის ასპარეზი.

პარიზი. მთელი დღის განმავლობაში მაასის დასავლეთით გაცხარებული საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა, განსაკუთრებით დიდი ბრძოლა იყო „304" მაღლობთან და ოკურენთან. ქვეითა ჯარებს შორის ბრძოლა არ მომხდარა.

ბელგიის ასპარეზი.

ჰავრი უკანასკნელ დროს საარტილერიო ბრძოლა მიყუჩდა. დღეს დიქსმიუდესთან და რასკაპელთან უმნიშვნელო საარტილერიო სროლა იყო. ბელგიის სამხედრო სამინისტრო იტყობინება: 4 მაისს (ახ სტ.) თარიღით ბელგიის ჯარმა მტერს წაართვა სიმაგრე 674 განგუტუ და წინ წავიდა. შემდეგ შეებრძოლა გერმანელთა საარტილერიო ჯარს და კიფუსტბის ჩრდილოეთით წინ წაიწია, სადაც დაიკავა მტრის პოზიცია იშანგო.

ირლანდიის აჯანყება.

დუბლინი. მეამბოხენი თანდათანობით იარაღს ჰყრიან. გუშინ 36 მეამბოხემ მორჩილება განაცხადა. სამხედრო საველე სასამართლომ 3 მოაჯანყეს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, შემდეგ ორს კატორღით შეუცვალა.

19 აპრილს სამხედრო საველე სასამართლომ 3 მეამბოხეს სამ-სამი წლით კატორღა მიუსაჯა.

პეტროგრადი. მეფე მომქმედ ჯარში წავიდა.

ლონდონი. ლუზიტანიის დაღუპვიდან 1 წლის შესრულების გამო დიდის ამბით პანაშვიდი გადაიხადეს. რუსეთის დეპუტატები მოვიდენ.

სტოკჰოლმი. რუსეთის იმპერიის ბელგიის საქმეთა რწმუნებულმა ბელგიის ტერიტორიის სრული ხელუხლებლობა განუცხადა შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებს.

პროვინციის ცხოვრება.

ს. ხრესილი. სულ მეხუთე წელიწადია, რაც აქ სადგურის ახლოს გაშენდა ეს სოფელი და ამხნის განმავლობაში უკვე შესამჩნევათ წინ წაიწია კულტურული განვითარების მხრით. აქ არსებობს: უფასო საავათმყოფო, სამკითხველო, ფოშტა, სკოლა და წვრილი კრედიტის ამხანაგობა. ამ კულტურულ დაწესებულათა დაარსებაში დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვისთ ქ-ნ ცაცა და ბ. გედეონ დარახველიძეებს.

17 აპრილს სამრევლო სკოლის შენობაში მოხდა წ. კრედიტის საზოგადოების საზ. კრება. წ. კ. ინსპექტორის, ბ. ჯაფარიძის თანდასწრებით. ბ. ჯაფარიძემ საზ. განუმარტა მნიშვნელობა წ. კ. ამხანაგობისა და წინადადება მისცა აერჩიათ თავმჯდომარე. თავჯდომარეთ კრებისა ეთხმად აირჩიეს ბ. გ დარახველიძე. დიდი კამათის შემდეგ კრებამ აირჩია გამგეობის წევრებათ: ქ. ც დარახველიძის ასული, ბ ბ. პლატონ არჯევანიძე, ნ. სირბილაძე, პორფილე ბუბაშვილი და თედორე ჰიქაბერიძე. კანდიდატებათ ლევანტი და მინა ქარქაშაძენი საბჭოს წევრებად: ბ.ბ. კონსტანტინე ხულორდავა, ილია კოხრეიძე და პავლე ქუბლაშვილი კანდიდატებათ: ბ.ბ. ერმილე ყიფიანი და ვასილ ქარქაშაძე.

ვიმედოვნებთ, გამგეობაში ისეთი პირები მოხდენ, რომ საქმე აუცილებლათ კარგათ წავა და დიდ სარგებლობასაც მოუტანს ხალხს.

თკრაბელი მუშ.

რუსეთი.

ყოფილი სამხედრო მინისტრის დატუსაღება.

პეტროგრადიდან დეპეშით იუწყებიან: ყოფილი სამხედრო მინისტრი, სუხომლინოვი გაჩხრეკის შემდეგ დაატუსაღეს და პეტრეპავლეს ციხეში გაგზავნეს. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მას მონაწილეობა მიუღია იმ კომპანიაში, რომელსაც სამხედრო მასალების დამზადება ჰქონდა დაკვეთილი და რომელიც აძლევდა რა მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს ამის შესახებ ცნობებს მომქმედ ჯარისთვის დამზადებულ მასალის პოზიციებზე გადატანას განზრახ აგვიანებდა სუხომლინოვის დატუსაღება იმ გარემოებითაც არის გამოწვეული, რომ შიშობდენ ყოფილმა მინისტრმა გასამართლებამდე თავი არ მოიკლასო. ცოლმა ინახულა სუხომლინოვი თუ არა თვალთაგან მიიმალა. პოლიციამ ძებნა დაუწყო და ამ მიზნით ყველა საავადმყოფოები ჩამოიარა, მაგრამ არსად არ აღმოჩნდა. ამბობენ, რომ ის უკვე დააკავეს და ციხეში გაგზავნესო. გაჩხრეკის დროს მას უნახეს ქმრის (სუხომლინოვის) წერილი, რომელიც სტოლიპინის მოკვლის გამო არის გაგზავნილი და რომელიც სხვათა შორის შემდეგ სიტყვებს შეიცავს: „შენი მოლოდინი არ გამართლდა: დანიშნეს კოკოვცევი". სუხომლინოვს სიკვდილით სასჯელი მოელის, ან უკეთეს შემთხვევაში — კატორღა.

კოოპერატივების ყრილობა აღკრძალეს.

„რუსკია ვედომოსტის" გადმოცემით შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინიციატორთ ნება არ დართო, რომ მოსკოვში სრულიად რუსეთის კოოპერატივების საერთო ყრილობა გამართონ.

უცხოეთი

პირველი მაისობა პარიზსა და ბერლინში.

ჩვეულებრივი პირველი მაისობა პარიზში სრულიად შეუმჩნევლად ჩატარდა: დღესასწაულის ელფერი არაფერს არ ეტყობოდა.

თუ როგორ ჩატარდა მაისობა ბერლინში, ამას შემდეგი ცნობა გვიხატავს: ქ. ბაზელიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ ბერლინში სერიოზული დემონსტრაციები გაიმართა: ქალაქის სამხრეთის უბნის მუშათა ჯგუფები ბერლინის ცენტრისაკენ გაემართენ, სადაც პოლიციამ მათი მსვლელობა შეაჩერა. საღამოს ათ საათზე პოლიციამ დემონსტრანტები ძლივს დაშალა: ბევრიც დაატუსაღა

„რუსკოე სლოვოს" გადმოცემით გერმანიის რეიხსტაგის ს. დ. ფრაქციის უმცირესობამ, რომელმაც პარლამენტში ახალი დამოუკიდებელი ს. დ. ფრაქცია შეადგინა, პირველ მაისისათვის მოწოდება გამოსცა, რომლითაც მან მუშებს საყოველთაო გაფიცვისა და მიტინგების გამართვა ურჩია, რომ ამით ომის წინააღმდეგ პროტესტი გამოეცხადებიათ. ბერლინის პოლიციამ წინდაწინვე აცნობა მათ, რომ დემონსტრაციებს იგი ძალით ჩააქრობს ამაზე მუშათა უბნებში კრებები გამართეს. ლიბკნეხტი და ლედებური მთელ ქალაქში უბნიდან უბანში გადადიოდენ და გაცხარებულ აგიტაციას ეწეოდენ. აგიტაციამ ნაყოფი გამოიღო: პირველ მაისს მუშათა დიდი ჯგუფი კარლ ლიბკნეხტის წინამძღოლობით სამხედრო სამინისტროსკენ გაემართა გზაში პოლიცია გადაუდგა მათ დემონსტრანტებმა შესძახეს: კმარა სისხლის ღვრა! ძირს ომი! ზავს მოვითხოვთ ჩვენ!" ამ ყვირილზე პოლიციამ იშიშვლა ხმალი და მუშათა ჯგუფებს გადაერია: დაიწყეს ხმლებით მუშების ცემა მათ შორის ლიბკნეხტსაც სცემეს. ასეთი გლეჯაცემა დაბინდებამდის გაგრძელდა. მერე კი მუშათა ჯგუფები დაიშალენ.

მუშების ერთმა ნაწილმა პროტესტის ნიშნათ გაფიცვა განაგრძო.

ქალაქ ლაიპციგშიო — სწერს კორესპოდენტი, პირველ მაისობის დემონსტრაციები ბერლინისაზე უფრო გრანდიოზული იყო და აჯანყებას მოგვაგონებდათო.

ღია ბარათი

„ჩვენი მეგობრის" რედაქცი ს მიმართ

კორესპონდენტმა „ნაცნობმა" მოათავსა გაზეთ ჩვენ მეგობარში" ინსინუაციებით სავსე წერილები, სადაც მომხმარებელი საზოგადოების „ჩვენი ოჯახის" შესახებ გადამახინჯებული ცნობები იყო მოთავსებული და პირად შეურაცხყოფას მაყენებდა აღელვებული კორესპონდენტის საქციელით, მე მაშინვე მოვითხოვე რედაქციის ,საშუალებით, რათა „ნაცნობს" პირადე აეხსნა და სამედიატორო სასამართლოში გამოცხადდა. ამის საპასუხოთ რედაქციის ფოსტით მაუწყეს, რომ სამედიატორო სასამართლოში არ მოგყვებითო.

ასეთი პასუხი, რასაკვირველია, ყურადღებით იქნა მოსმენილი ჭიათურის საზოგადოებისაგან, გაურჩევლად მიმართულებისა, მაგრამ, რადგან რედაქცია არას ამბობს იმის შესახებ, თუ რა მიზეზით არ მოჰყვება „კორესპონდენტი სასამართლოში, მაშინ რატომ არ აიძულა მან „სიმართლის მქონე „ნაცნობი" დაუბრუნებოდა სასამართლოს, ამიტომ ხელმეორედ მოვითხოვ სამედიატორო სასამართლოს.

მედიატორებად ჩემის მხრით ვასახელებ აქაურ მასწავლებლებს: ივ. წერეთელს და ის. დვანაძეს. ჩემთვის სულ ერთია რედაქცია დაასახელებს ორ მედიატორს თუ „ნაცნობი", რომლისაგან ამ შემთხვევაში არ მოვითხოვ პირადად ახსნას, რადგანაც ვერ ბედავს.

სასამართლომ უნდა გამოარკვიოს და პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს:

1) ვიყავი თუ არა გამგეობაში, ან მაგიდე მონაწილეობა, როცა დაითხოვეს ჯერ მომჩივანი ნოქარი და მერმე ბუხგალტერი თუ არა?

2) მქონდა თუ არა რამე დამოკიდებულება ვ ბურჯანაძის კერძო საქმეებთან, რომელსაც თქვენ „საიდუმლოება" უწოდეთ?

3) გამგეობა ან პირადათ მე, კიკალეიშვილი, ვავიწროვებდით ბუხგალტერს სოსო ლოსაბერიძეს მისი „მსოფლმხედველობისათვის", თუ არა?

4) რამდენად შეეფერება სიმართლეს ცნობა, ვითომც მე „კრისის და იმავე ნაირად გაგემული თანხა წიგნებში სამა სახით გამეტარებიოს ?

(აგრეთვე სხვა ცნობების შესახებაც რომელიც კორესპონდენციაშია მოყვანილი).

5) ზნეობრივად კორესპონდენტი „ნაცნობის" საქციელი ჩემს შესახებ, თუ უზნეო?

სასამართლოს განაჩენი უნდა გამოქვეყნდეს „ჩვენ მეგობარში" და აგრეთვე სხვა გაზეთებშიაც.

*ამ წერილის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში ვეცდით პასუხს და შემდეგ ამას გვეცოდინება რა ჯურის მოპირდაპირებთან გვქონია საქმე და ჩვენც იმის და მიხედვით მოვიქცევით მომავალში. ნ. კიკალეიშვილი.

ჩვენს მოვალეებს

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის ფურცლებზე ადგილი დაუთმოთ ამ წერილს ჩვენი მოვალეებისადმი.

ბატონებო, არა ერთხელ წაგიკითხავთ გაზეთის ფურცლებზე ჩვენი და სხვა ჩვენი ამხანაგების დაპირება, რომ თუ ვალს არ გადახდით — თქვენს ვინაობას გაზეთში გამოვაცხადებთქო და დღე, მერე ივით საზოგადოებამ დასდოს მსჯავრი თქვენს საქციელსთქო, წაგიკითხავთ ბევრჯერ, მაგრამ ჩვენი თქვენდამი მიმართვა უყურადღებოთ დარჩენილა ,,ხმაო მღაღადებელისა უდაბნოსა შინა". არ გეპასუხნიათ თქვენ და ჩვენც, რადგას მოლოდინში, სისრულეში არ მოგვყავდა ჩვენი დაპირება.

გასული წლის ბოლოს ხარკოვის სათვისტომოს გამგეობა გთხოვდათ გაგეხსენებინათ თქვენი წარსული, როდესაც, გაშორვების დროს, სათვისტომოს კასიდან ფული [illegible], და ახლა ისეთივე გაჭირვებულ თანამემამულე ამხანაგებისათვის ვალი [illegible] თქვენს პირდაპირ [illegible] გთხოვდათ, მაგრამ დღემდის თქვენგან არ პასუხი ვერ მიიღო. აღარ შესაძლებელია, რომ ბევრ თქვენგანს დავიწყებოდეს აქ ვალი და რადგან გამგეობამ სხვა გზა ვერ ნახა, გაზეთის ფურცლებზე აცხადებს თქვენს ვინაობას და ამით შეძლებას გაძლევთ გაგახსენოთ, რომ თქვენ ხარკოვის სათვისტომოს მოვალე ხართ. გამგეობას იმედი აქვს, რომ ახლა მაინც გამოგვეხმაურებიან ჩვენი მოვალეები და ვალს დაგვიბრუნებენ, რისთვისაც წინდაწინვე მადლობას გწირავთ

აი მოვალეთა სია და მათი ვალი:

აბულაძე ერმილოზ — 24 მან. 10 კ., [illegible]დიშვილი გიორგი — 15 მ 10 კ., ახვლედიანი ვარლამ — 22 მან 75 კ., აფრიამაშვილი ნიკ. — 23 მ. 10 კ., ალმიბაია გიორგი დიმიტრის ძე — 22 მ., არეშიძე (ექიმი) — 16 მ. 30 კ., ანდრონიკაშვილი ილია — 15 მ., ანანიაშვილი თომა — 50 მ., ბერიძის [illegible] (ექიმი) — 12 მ 50 კ, ბასილაია მირიან — 48 მ. 53 კ., ბაქრაძე ვიქტორ (ექიმი) — 102 მან 21 კაპ, ბადაშვილი აარონ [illegible] მის ძე (ექიმი) — 52 მან 40 კ., გაბაშვილი ევგენი — 24 მ. 70 კ., გაბიჩვაძე თინა — 21 მ. 90 კ გელოვანი ვიქტორ (ინჟინ[illegible] — 44 მ. 60 კ., გოგელია პავლე (მასწავლებელი) — 21 მ. 80 კ., გიორგობიანი [illegible] კოლოზ (მასწ.) — 19 მან, გვირგაძე [illegible] გოლ (ვეტ.) — 6 მ. 20 კ., გულისაშვილი სოლომონ (მასწ.) — 20 მ. 80 კ., [illegible]ლიძე ალ. (ექიმი) — 28 მ. 80 კ. [illegible] მახ. (ვეტ.) — 88 მ. 61 კ. დანელია სერგ. (მ. წ.) — 9 მ. 40 კ. დუმბაძე ნიკ. (მასწ. — 42 მ. 90 კ. ვეკუა აკაკი (ექიმი — 21 მ 30 კ., ვეკუა ვლად. (მასწ.) — 10 მ. 70 კ. ქინქლაძე კონსტ. იოს — 12 მ. 80 კ., [illegible]ძე პლ. 22 მ. 60 კ., ითსელიანი ნიკ. — 104 მ. 54 კ. ინგოროყვა ვასილ (ექიმი) — 153 მან. 80 კ, ჯაფარიძე კონსტ. (ვეტ.) 222 მ., ჯაფარიძე დავით (ექიმი) — 40 მ. ერისთავი ნიკ. — 70 მ., [illegible] — 20 მ., კიკალეიშვილი პეტ. (ექიმი) — 150 მ.

ხარკ. სათვ. გამგეობა.

(დასასრული ჩვენ)

რედაქტორი **ი. ციციაძე.**

გამომცემელი ამხანაგობა „**სამშობლო**".

ქუთაისი.

ძმ. ყორყო[illegible]მეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი).

მიღებულია ვენახის ასაპრავი საუკე[illegible] ქ ი ლ ი.

იქვე იყიდება ყოველგვარი საბაკალეიო საქონელი. ფასები ყველაფერზე ზომიერია. 8

უკაცობა და ნევრასთენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცენ სამკურნალო საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნერვიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

ფრანგული ექ. გლეზისა.

ფრანგული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის სქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის.

ფრანგული ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ — სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და აწარმოებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **ფრანგული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას.

ფრანგული ექ. გლეზისა — ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

ფრანგული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **ა. შავერზაშვილს** საფთიაქო მაღაზიაში.

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა — 5 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთ

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის — სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მძლოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყისი დღეში ორჯერ რომ მიიღის ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სინ[illegible] უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში.

(წლიური) 9 დოქტ. ს[illegible] ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული.** ქ. ოდესა.